

პროგნოზი:

მომავალში, საუკუნის ბოლომდე, საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე ქარის საშუალო სიჩქარე კლებას განაგრძობს. მთა-საბუეთზე საუკუნის ბოლოსათვის სიჩქარე დაეცემა 9.2 ვ/წმ-დან 4.3 მ/წმ-მდე. ქარის საშუალო სიჩქარე მოიმატებს ახმეტაში, საუკუნის ბოლოსათვის ყველაზე ქარიანი ადგილებია (5.1 მ/წმ) - ქუთაისი, ბათუმი და გოდერძის გადასასვლელი.

სტიქიური პროცესები და მოვლენები

უკანასკნელ წლებში საქართველოში ექსტრემალური მეტეოროლოგიური მოვლენების ინტენსივობისა და სიხშირის ზრდამ გამოიწვია სტიქიური პროცესების მასშტაბური გააქტიურება. მომავალში, კლიმატის ცვლილების პროგნოზების მიხედვით, მოსალოდნელია ექსტრემალური ამინდის გახშირება, რაც საფარად გამოიწვევს მეწყერების, წყალდიდობების, ზვავების, ღვარცოფების შემთხვევათა გაზრდას.

სტიქიური მოვლენების შესამჩნევ გააქტიურებას იწვევს საშუალო წლიურ ნორმასთან შედარებით ნალექების სიჭარბე 100-200მმ ფარგლებში. 1995-2010 წლებში საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მეწყერული მოვლენების შედეგად მიყენებულმა ზარალმა 915,1 მლნ. ლარი შეადგინა. 1995-2012 წლებში ღვარცოფებით გამოწვეულმა ზარალმა შეადგინა 358 მლნ.ლარი და იმსხვერპლა 35 ადამიანი. აღინიშნა წყალდიდობების 202 შემთხვევა. მათგან მიყენებულმა ზარალმა შეადგინა 502.8 მლნ



ლარი. ამ პერიოდში წყალდიდობებსა და წყალმოვარდნებს ემსხვერპლა 38 ადამიანი.

ჩამოთვლილი პარამეტრები და მათი ცვლილება გავლენას ახდენს:

წყლის რესურსებზე, სოფლის მეურნეობაზე, ტყესა და მიწის რესურსებზე, ჯანდაცვის სექტორზე, ტურზმზე, ინფრასტრუქტურაზე, ზღვის სანაპიროზე, ბიომრავალფეროვნებაზე და ა.შ. რაც საბოლოოდ აისახება როგორც ადამიანების სოციალურ-ეკონომიურ, ასევე ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

პროექტს „კლიმატის ფორუმი აღმოსავლეთში II-ის ფარგლებში ეროვნული პოლიტიკის დიალოგზე მასალების მომზადება, ცნობადობის ამაღლება და საგანმანათლებლო საკითხების განხორციელება“ ახორციელებს საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო, საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების მხარდაჭერით. ევროკავშირის, ავსტრიის განვითარების სააგენტოსა და ავსტრიის წითელი ჯვრის ფინანსური მხარდაჭერით.

* * *

პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელია საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო, მასში გამოთქმული მოსაზრებები არ უნდა იქნეს მიჩნეული დონორთა მოსაზრებებად.

საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო
თბილისი, სლავა მეტრეველის № 4. 0112

ტელ.: 032 2 30 6221
ელ.ფოსტა: info@greens.ge
ვებ-გვერდი: www.greens.ge

საქართველოს მეგობრები მოძრაობა/დედამიწის მეგობრები - საქართველო



აღიმაბის გლობალური ცვლილება და საქართველო

CLIMATE FORUM EAST

საერთაშორისო მეგობრების მოძრაობა

Friends of the Earth International

საქართველოს წითელი ჯვარი GEORGIA RED CROSS

WITH FUNDING FROM

EUROPEAN UNION

AUSTRIAN DEVELOPMENT COOPERATION

AUSTRIAN RED CROSS

2016 წელი

კლიმატის გლობალური ცვლილება აღიარებულია, როგორც კაცობრიობის წინაშე მდგარი უმწვავესი პრობლემა. ეს პრობლემა საქართველოს წინაშეც დგას და ამ ცვლილების ნიშნები განსაკუთრებულად მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან შეიმჩნევა. ეს დადასტურებულია „კლიმატის ცვლილებების შეფასებით“, რომელიც ჩატარდა საქართველოს ჰიდრო მეტეოროლოგიური ქსელის 33 სადგურის დაკვირვების მონაცემებზე დაყრდნობით 1961-2010 წწ. პერიოდში, კლიმატის ცვლილების ამ ტემპით გაგრძელების შემთხვევისათვის საპროგნოზო სცენარები გაკეთდა 2021-2050 წწ. და 2071-2100 წ.წ. პერიოდისთვის. შეფასებულია შემდეგი კლიმატური პარამეტრები: საშუალო წლიური ტემპერატურა, საშუალო წლიური ნალექების ჯამი, ქარის საშუალო სიჩქარე და ფარდობითი ტენიანობა, ასევე ექსტრემალური კლიმატური ინდექსები.

კლიმატური ზონების თვალსაზრისით საქართველო დიდი მრავალფეროვნებით ხასიათდება. მასში წარმოდგენილია კლიმატური ზონების თითქმის ყველა ტიპი, გარდა უდაბნოს, სავანისა და ტროპიკული ტყეებისა. სწორედ ამიტომ კლიმატის ცვლილება განსხვავებულად ზემოქმედებს საქართველოს სხვადასხვა გეოგრაფიულ მხარეებზე. საქართველოს რეგიონების მიხედვით კლიმატის ცვლილების პარამეტრები და საპროგნოზო სცენარები.



ტემპერატურის საშუალო წლიურ მნიშვნელობებში გამოვლენილი ცვლილებები:

1961-2010 წლებში - საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მხოლოდ მატების ტენდენცია შეინიშნებოდა. ყველაზე მეტად მან მოიმატა დედოფლისწყაროში (0.7°C). მატებამ დასავლეთ საქართველოში (ფოთი) 0.6°C შეადგინა. დათბობის მნიშვნელოვანი ტენდენცია გამოვლინდა მცხეთა-მთიანეთსა და კახეთში – 0.3°C.

პროგნოზი:

2071-2100 წლებში ყველაზე მეტად საჩხერე დათბება (2.1°C), შემდეგ აჭარის სანაპირო ზოლი და გოდერძის გადასასვლელი. ყველაზე მცირე მატება (0.9°C) ფოთსა და ფასანაურშია მოსალოდნელი. საშუალო წლიური ტემპერატურის უდიდესი ნაზრდი 3.7°C-ს ბათუმში მოსალოდნელი და ეს პარამეტრი 4.2°C-ს მიაღწევს.

ნალექების წლიურ ჯამებში გამოვლენილი ცვლილებები

1961-2010წ.წ. ნალექების წლიურმა ჯამმა სვანეთის დაბალმთიან ზონებსა და აჭარის მთიანეთში მოიმატა (14%-მდე), ფოთსა და იმერეთის მთიანეთში (10%-მდე). მნიშვნელოვანი კლება მოხდა მაღალმთიანი აჭარის აღმოსავლეთ ნაწილში, გოდერძის გადასასვლელზე - 17%.

ფასანაურსა და ლაგოდეხში ნალექმა 2% და 8%-ით მოიმატა.

ნალექების კლება შეინიშნება: მესხეთში - 6%, ლიხის ქედის ცენტრალურ ნაწილში (მთა-საბუეთი) - 8%.

პროგნოზი:

ნალექების მატება გრძელდება 2050 წლამდე, შემდეგ იწყება კლება, გარდა ზოგიერთი გამონაკლისისა. 2050 წლამდე მოსალოდნელია ნალექების მატება საშუალოდ 3.4%-ით, გამონაკლისია ლაგოდეხი. აქ ნალექები 6.3%-ით მოიკლებს.

2100 წლისათვის მოსალოდნელია ნალექების მნიშვნელოვანი კლება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. ამ პერიოდში გამონაკლისი იქნება ლიხის ქედის ცენტრალური ნაწილი, სადაც ნალექების წლიური ჯამი 9,3%-ით მოიმატებს.

ფარდობით სინოტივეში გამოვლენილი ცვლილებები

1961-1985 წ.წ. და 1986-2010წ.წ. პერიოდში საქართველოს მთელი ტერიტორიაზე სინოტივე ძირითადად გაზრდილია 2 %-ით. ყველაზე დიდი ზრდა (8%) მდგრადი ტრენდით ფიქსირდება გოდერძის უღელტეხილზე.

პროგნოზი:

სინოტივის მატების ტენდენცია 2050 და 2100 წლისათვის კლებით შეიცვლება. არის რამდენიმე გამონაკლისი, სადაც გაგრძელდება ამ პარამეტრის მნიშვნელოვანი ზრდა: ხაიში (4.7%), ქედა (4.6%) და მესტია.

ქარის საშუალო წლიურ სიჩქარეში გამოვლენილი ცვლილებები

1961-2010 წლების განმავლობაში საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ქარის საშუალო წლიურმა სიჩქარემ მნიშვნელოვნად დაიკლო, მათ შორის ყველაზე დიდი კლება აღინიშნა მთა-საბუეთის და ფოთის ტერიტორიაზე.